

საღსის მტრები: ჩემი ოჯახის გზა ამერიკამდე • კატი მარტონი

ბამონსმაურეპეპი ნიბნზა „ხალხის მტრები“

„მარტონის მემუარები სიმამაცეზე, ტანჯვაზე, გადარჩენასა და გამართლებაზე გვიამბობს. აქ პირდაპირი, ცხადი თხრობაა... ემოციები საგულდაგულოდ არის მოთოკილი. ეს არ გახლავთ დღეს ასე მოდური მწუხარებით სავსე მოგონებები, პირიქით — დანვრილებით გადმოცემული, თითქმის ავადმყოფობის ისტორიასავით ზუსტი აღწერაა იმისა, თუ რას ნიშნავს, ცხოვრობდე ტოტალიტარულ სახელმწიფოში და რა ძნელია მისგან თავის დაღწევა... ეს საზარელი ამბავია და მარტონი მას ძალიან კარგად გადმოგვცემს“.

— ჯონათან იარდლი, *ვაშინგტონ პოსტი*

„მღელვარე მოლოდინში გამყოფებს... მარტონების ოჯახის პორტრეტი ჩვენ თვალნინ აცოცხლებს იმ სამყაროს აბსურდს, რომელშიც „ყველა, ვინც თქვენს წრეში ტრიალებდა, მიუხედავად იმისა, ენდობოდნენ მათ თქვენი მშობლები თუ არა, საიდუმლო პოლიციას აწვდიდა ინფორმაციას“.

— *ნიუ-იორკერი*

„ეს აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყველამ, ვინც ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ დაიბადა, და შესაძლოა, სხვა ბევრმაც, ვისაც ამისთვის ადრე ყურადღება არ მიუქცევია... ტოტალიტარული ბარბაროსობის ორუელური ნიმუში. არ გამოგრჩეთ“.

— ჯონ ჯ. მონაგანი, *პროვიდენს ჟურნალ-ბიულეტენი*

„არ უნდა გამოგრჩეთ“.

— *გუდ ჰაუსქიფინგი*

„მისი მშობლების ცოცხალი და მშვენივრად დაწერილი ბიოგრაფია, რომლის ღირსებასაც აორკეცებს ის, რომ ეს მემუარებია“.

— ბეტი გორდონი, *ატლანტა ჟურნალი-კონსტიტუცია*

„კატი მარტონი გულში ჩამწვდომად აღწერს პიროვნების გამარჯვებას შემზარავი უპირატესობის მქონე მტერზე და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ტოტალიტარიზმის ბოროტი და დამანგრეველი ძალის შესახებ“.

— ჯემს ჰოუგი, *ფორინ ეფერსი*

„ადამიანური სიმამაცის შესანიშნავი ამბავი და მამისთვის მიწერილი სიყვარულის წერილი. კაცისათვის, რომელიც მან იმ საზარელი დროის ისტორიული ჩანაწერებით კიდევ უფრო უკეთ გაიცნო“.

— ფრანკ ტ. კსონგოსი, *ვაშინგტონ ტაიმსი*

„ამ წიგნის წაკითხვა ადამიანს ღრმა მადლიერებას უღვიძებს, რომ თავად მთელი სიცოცხლე დემოკრატიის პირობებში იზრდებოდა“.

— ბილ მარიმოუ, *ფილადელფია ინქვაიერი*

„მარტონი... თავის საგამომძიებლო უნარებს საკუთარი ოჯახის ისტორიის გამოსაკვლევად მიმართავს. შედეგად ნამდვილი ცხოვრებისეული ტრილერი მივიღეთ...“

— ბილი ჰელერი, *ნიუ-იორკ პოსტი*

„კატი მარტონის „ხალხის მტრები“ ნამდვილი მანიფესტია. ეს წიგნი ტოტალიტარული სახელმწიფოს ჯოჯოხეთში გამომწყვდეული კატის მომხიბვლელი და სხვადასხვაგვარი ხასიათის მქონე მშობლების ნაზი, მაგრამ პირუთენელი პორტრეტია და მათი უნგრეთიდან ამერიკაში გაქცევის შესახებ მოგვითხრობს... მარტონი ოსტატურად აგვიწერს მისი ოჯახის უახლოესი ადამიანების ლალატს და იმ უჩვეულო სიმამაცეს, რომლის წყალობითაც მისი მშობლები გადარჩნენ“.

— მარია ბრენერი, *დეილი ბისთი*

„ეფექტურად გადმოსცემს ლოიალობათა ცვლის და პოლიტიკური ლალატის წარმოუდგენლად შფოთიან, ტკივილიან ჟამს... კონსპირაციისა და ლალატის ბნელი, და სულის შემძვრელი ნარატივი“.

— კირკუს რევიუსი

„კატი მარტონმა გულწრფელი და გაბედული წიგნი დაწერა თავისი მშობლების ცხოვრების უმძიმესი პერიოდის შესახებ — შვილების უმრავლესობა ამჯობინებდა, ხელიც არ ეხლო ამგვარი მასალის გამოკვლევისთვის“.

— ლუის ბეგლი

„ნამდვილი ამბავი, რომელიც ძლიერ ამაღელვებელი და სრულიად

საღსის მბრეპი

ჩემი ზღახის კბა ამქიჯამდე

კატი მარტონი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2011

ხალხის მტრები: ჩემი ოჯახის გზა ამერიკამდე
კატი მარტონი

Enemies of the People: my family's journey to America

Kati Marton

მთარგმნელი	ნინო ბარძიმიშვილი
სამეცნიერო რედაქტორი	დავით დარჩიაშვილი
რედაქტორი	ნატალია ვაჩეიშვილი
კორექტორი	თინათინ კვიციანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ლელა მაჭარაშვილი
ქართული თარგმანის საავტორო უფლებები © 2001	

ქართული თარგმანის უფლებები

© 2011 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

Georgian Language Translation copyright © 2011 Ilia State University Press

Enemies of the People: my family's journey to America

Copyright © 2009 by Kati Marton

All rights reserved.

Published by arrangement with the original publisher Simon & Schuster, Inc.

ISBN 978- 9941-18-033-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

1989-1991 წლებში საქართველომ საბჭოთა ტოტალიტარიზმს უთხრა უარი, 2003 წელს – მისგან დანატოვარ პოსტსაბჭოურ ფეოდალიზმს, მაგრამ ძალზე მცირე დროა გასული საიმისოდ, რომ ქართული მოდერნიზაციისა და დემოკრატიის შეუქცევად წარმატებაზე ვისაუბროთ. მით უმეტეს, როცა ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე გადაშლილ რუსული ხიმტების „მოხერხებულ“ სარეცელზე ისევ წარსულის აჩრდილი წევს.

ჩვენს ბრძოლას საბოლოო გათავისუფლებისათვის მხოლოდ კანონების მიღებითა და დიპლომატიით ვერ მოვიგებთ. ინვესტიციები და ახალი ტექნოლოგიები გამარჯვების აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა. წარმატება გარდაუვალი იქნება, თუ თანამოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთხელ და სამუდამოდ ეტყვის უარს ცხოვრების იმ წესს, რომელიც თანასწორობისა თუ ეროვნულობის ფარისეველურ გაგებას ამკვიდრებდა, პიროვნულ ღირსებაში კი სხვადასხვა ყაიდის ავტორიტეტთა ხოტბა-დიდებას გულისხმობდა. სწორედ ეს წესი, ეს კულტურა – არსებითად, ადამიანური ვნებები და მანკიერებები – არის ნებისმიერი ძალადობრივი რეჟიმის საფუძველი. თავისუფლების ამ შინაგან მტერთან გამკლავებას განათლება, კრიტიკული გონება და ისტორიის, მათ შორის, მსგავსი ბედის მქონე სხვა ხალხების ისტორიის, სიღრმისეული გადაფასება სჭირდება. წინამდებარე წიგნის ავტორი, კატი მარტონი, ეპილოგში ამბობს, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილი ცხოვრობდა დევნის, შანტაჟის, სიცრუის პირობებში და მნიშვნელოვანია ყოველივე ამის გაგება, რათა გზა განვავრძოთ, სანამ წარსულის მაგალითები დავინწყებას მისცემია.

„ხალხის მტრები“ ერთ-ერთი იმ ტექსტთაგანია, რომელიც ეროვნული და პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვას და ამ გზაზე არსებული განსაცდელის გააზრებას ემსახურება. ძირითადი მოქმედება მე-20 საუკუნის შუა ხანების უნგრეთში ხდება – ჯერ ხორტის ფაშიზმი, შემდეგ კი რაკოშის კომუნიზმი ერთი კონკრეტული, ნიჭითა და სამოქალაქო აქტივობით გამორჩეული ოჯახის გადმოსახედიდანაა დანახული. ქვეყანაც და მასში განვითარებული მოვლენებიც ტკივილამდე ნაცნობია ქართველთათვის...

„ხალხის მტრები“ რომ მრავალმხრივ გამორჩეული წიგნია, მკითხველი პირველივე გვერდებიდან დარწმუნდება. ამასვე მოწმობს თანდართული გამომხაურებებიც. აქ არის ანალიზი, შეფასებები, მაგრამ

აქვეა დაუფარავი ემოციაც, გულახდილობა და მოხდენილი სტილი, რომლის გარეშე ნებისმიერი ნაწარმოები სულის შეძვრის უნარს იქნებოდა მოკლებული. კატი მარტონს კი, უდავოდ, შეუძლია უნებურ ცრემლამდე განგვაცდევინოს საკუთარი ოჯახის დრამა – ენდრეს, ილონას და მათი ბავშვების ისტორიით დაგვანახოს ტოტალიტარიზმის არაადამიანური სახე.

ვფიქრობ, რომ ავტორი გვაძლევს მაგალითს, თუ როგორ გავუხსნოროთ თვალი სიმართლეს, რაც არ არის ყოველთვის კომფორტული, მაგრამ რის გარეშეც შესაძლოა, ილუზიები გავვიჩნდეს. მარტონების ქრონიკა უნგრული უშიშროების, AVO-ს არქივის მასალებზეა აგებული, ამ ორგანიზაციის აგენტთა ანგარიშებით არის გაშიშვლებული კატის მშობლებისა და ოჯახის ახლობლების ცხოვრება. მას ეყო ძალა, ბოლომდე ამოეკითხა ყოველივე თავისი მშობლების მიერ განცდილ-გაკეთებულის შესახებ, გაეზიარებინა ეს სიმართლე ჩვენთვის და არ დაემალა AVO-სადმი წამიერი მადლიერების პარადოქსული განცდა, საკუთარი მშობლების შეცნობაში „აღმოჩენილი დახმარებისთვის“. ძნელია, უემოციოდ წაიკითხო, თუ როგორ იხსენებს ავტორი ბავშვობის ზოგიერთ მივიწყებულ ეპიზოდს ან როგორ ეცნობა მამისეული სიყვარულის უსაზღვრობას უშიშროების აგენტთა დაწვრილებითი პატაკების დახმარებით.

„ხალხის მტრები“, რა თქმა უნდა, უნგრული ფაშიზმისა და კომუნისტების ანატომიის, ამ რეჟიმთა სპეცსამსახურების მეთოდების შესახებ არის დაწერილი. მაგრამ ეგებ ეს არც იყო მთავარი ამოცანა და ქართველის თვალში შეიძლება ფერმკრთალდებოდეს კიდევ უნგრული საშინელებების ზოგიერთი ასპექტი, სტალინ-ბერიას სამშობლოში დატრიალებულ ტრაგედიებთან შედარებით. არანაკლებ საინტერესოა წიგნიდან იმის გაგება, თუ რატომ და როგორ ეთაყვანებოდნენ ცოლ-ქმარი მარტონები თავისუფალ სამყაროს, როგორ ათავსებდა ეს ოჯახი უნგრულ პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს, ჟურნალისტობასა და დასავლურ მისიებთან კონფიდენციალურ ურთიერთობას, რითი პასუხობდა ვაშინგტონი მარტონებისა და სხვა უნგრელების თავდადებას. სულისშემძვრელია მარტონთა გზა შინაგანი ემიგრაციიდან სამშობლოს დატოვებამდე.

ნაწარმოების საკვანძო თემაა კატის დედ-მამის ურთიერთობა AVO-სთან, მათი პატიმრობისას და შემდგომ, დასავლეთში ემიგრირ-

რებამდე. ეს ეპიზოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კატისათვის და, ალბათ, ჩვენთვისაც. აქ არის მცდელობა, პასუხი გაეცეს ტოტალიტარიზმთან დაკავშირებულ ურთულეს კითხვას – რა ზღვრამდე შეიძლება ეპატიოთ მორჩილება სასონარკვეთილ ადამიანებს გასამართლებლად მოყვასისა თუ შთამომავლობის თვალში, ანდა მარადიული ღირებულებების წინაშე. AVO-ს არქივში შემონახული ცნობა, რომ ენდრე მოძალადეთა წინაშე „კარგი“ უნგრელობის პირობას დებდა და გარკვეული პერიოდი უშიშროება მას კოდური სახელით მოიხსენიებდა, ის ინტრიგაა, რომელმაც წიგნის ფორმა და სულისკვეთება განსაზღვრა. ამ კვანძის ავტორისეული გახსნა არ იძლევა მის გონიერებასა და გულწრფელობაში დაეჭვების საშუალებას. კატი მარტონი გვასწავლის, თუ როგორი სიფრთხილითაა ასანონ-შესამონმებელი საიდუმლო მასალები.

საბოლოო ჯამში „ხალხის მტრები“ არის წიგნი არაადამიანურ გარემოში ადამიანრობისათვის ბრძოლის შესახებ. სადაც ტოტალიტარიზმია, იქვეა ადამიანთა სისუსტისა და გმირობის განუმეორებელი ნაზავიც. კატი პატიობს სისუსტეს, ამხელს ღალატს და ხოტბას ასხამს ადამიანურ თავგანწირვას, რაც მისთვის „უხორცოსავით უშიშრობა“ კი არა, სიყვარულის ძალით ცხოვრებისეულ ცდუნებებზე ამაღლებაა. პირველ რიგში, სწორედ ამიტომ არის ეს წიგნი ზენაცონალური ბესტსელერი.

დაბოლოს, კატი მარტონი არის თავისუფლებისათვის მეტრძოლი უნიჭიერესი ამერიკელი დიპლომატის, რიჩარდ ჰოლბრუკის ქვრივი. ამ პიროვნების სახელი დარჩება საქართველოს უახლეს ისტორიაშიც. წიგნში იგი მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები, მაგრამ კატი უკეთ გვაგებინებს ჰოლბრუკის ოჯახურ გარემოს – მისი შეუპოვრობის ოჯახურ საყრდენს. თავისუფლებასთან ერთად, ოჯახი კატი მარტონისათვის უმთავრეს ღირებულებად რჩება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მისი ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნის მნიშვნელობას.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

საქმის



FBI SUBVIVA
 1971 XII 21
 Feherrari

WASHINGTON (AP)—Hungarian Premier Nagy's Ministry announced Sunday it had turned over to the arrest for U.S. intelligence activities on charges of espionage for U.S. Navy agents in 1941 until last February, the Associated Press reported. The Associated Press also reported that communications from Nagy's office to the U.S. Navy, are Hungarian intelligence. (AP) 2020 PEE THE STORY (41174574) 1971

მედიკამენტი

ჩემი მუხარამი გზა
აქტივობა

კატი მარტინი

ჩვენი ცხოვრების
მეგზურებს —
დედას, მამას და რიჩარდს.

სარჩევი

შესავალი	3
ომი ცივ ომთან	11
ბედნიერი ბავშვობა	39
დედა და მამა	53
ამერიკელები	61
ცოდვა ცოდვაზე	71
გადავადება	85
ბავშვობის დასასრული	97
პატიმარი	101
ჩვენ სამნი	115
საზარელი ზაფხული	147
მამა გატყდა	163
ჩვენი ახალი ოჯახი	175
ჩემი მშობლების სამსჯავრო	185
ქვეყნიერების მეორე მხრიდან	199
კვლავ ერთად	207
რევოლუცია	223
ამერიკა	245
„ყვავილი“	257
ბუდაპეშტში და უკან	267
კვლავ მოულოდნელობა	281
ეპილოგი	287
მადლობის სიტყვა	295
ინდექსი	299

[სახლის მშენებელი]

შესავალი



ეს ჩემი სურათი, რომელზეც ორი თუ სამი წლის ვარ, საიდუმლო პოლიციის მასალებში ვიპოვე

„უფრო გაცივი იქნება, თუ ამჯერად მარტო მოხვალთ“, – მირჩია სატელეფონო საუბარში დოქტორმა კატალინ კუტრუცმა, უნგრეთის საიდუმლო პოლიციის არქივების მმართველმა. უკანასკნელად რომ შევხვდით ერთმანეთს, მეგობარი მახლდა თან, იურისტი, რომელიც არქივებში ერკვევა. მაშინ დოქტორი კუტრუცი საქმიანი ადამიანის განსახიერება იყო: ზუსტი, მიუდგომელი, ბიუროკრატიული. ძველი ყაიდის აპარატურა მდიდრულად მივიჩნიე, ვინც უბრალოდ მიჩვენებდა – რამდენადაც ამის უფლება პოსტკომუნისტური უნგრეთის კანონით მენიჭებოდა – ჩემს მშობლებზე შედგენილ პოლიციის დოსიეებს. ახლა მისი ხმა სხვაგვარად ჟღერდა, უფრო ადამიანური იყო, უფრო თანამგრძობელი. მისმა ახალმა ტონმა ამაფორიქა.

სულ ცოტა ხნით ადრე უნგრეთის ერთ-ერთ ყველაზე დაფასებულ

მწერალს მამამისის დოსიე გადასცეს, სადაც მან სულისშემძვრელი ინტრიგა აღმოაჩინა და საკუთარი ოჯახის ლალატის ამბავიც კი შეიტყო. პირველად რომ მოვითხოვე დოსიეს ჩვენება, AVO-ს – უნგრეთის საიდუმლო პოლიციის – მთავარმა ისტორიკოსმა გამაფრთხილა, რომ „პანდორას ყუთს ვხსნიდი“. მაგრამ მე მსურდა, სიმართლე მცოდნოდა მშობლების შესახებ, მცოდნოდა, რა მოხდა სინამდვილეში ბუდაპეშტში იმ შორეული ცივი ომის დღეებში, მაშინ, როცა მე და ჩემი და პატარები ვიყავით. ჩემი მშობლები თავს არიდებდნენ ჩვენი ისტორიის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთებზე საუბარს – მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი თავისი დროის სახელგანთქმული ჟურნალისტი იყო და მას 1956 წლის უნგრეთის რევოლუციის გაშუქებამ ჯილდოები და აღიარება მოუტანა. „შენ ამერიკელი ხარ“, – მეტყოდა ხოლმე მამა, – „ვერც კი გაიგებ, რა იყო ფაშისტების ან კომუნისტების ხელში ცხოვრება“.

იმ ღამით ძილი გამიტყდა. ყველაზე მეტად რისი შიში მქონდა? რამენაირი კომპრომისის ან ლალატის დამადასტურებელი საბუთი რომ მეპოვა, რაც სამუდამოდ შემირყევდა მშობლების ხატს? რისკი რეალური გახლდათ. გუნტერ გრასი გნებავთ თუ მილან კუნდერა – გესტაპოს ან კაგებეს საიდუმლო საბუთებიდან ჯერაც ამოტივტივდება ხოლმე ამგვარ ლალატთა ნამსხვრევები, ნახევარ საუკუნეს რომ გადასწვდება. მესმის, რატომ არ სურს უამრავ ადამიანს, წარსულის შესახებ შეიტყოს; ძინავს ავ ძალს და ეძინოსო, ასე მეუბნებიან. მაგრამ მე მინდა სიმართლე, თუნდაც მწარე.

არქივის თანამშრომლის შეცვლილი ტონის გამო თავისტეხაში გატარებული უძილო ღამის შემდეგ თვალეზრანითლებული ავუყევი იტალიური რენესანსის სტილში აგებულ სასახლეს, სადაც 1946 წელს AVO იშვა. ტერორის სახელმწიფოს ყველაზე სამინელ დანაშაულთაგან ზოგი სწორედ ამ შენობაში გათამაშდა. 1950 წლისათვის სასახლე ველარ იტევდა ათასობით ფორმიანი თუ უფორმო აგენტის საქმიანობას, ვერც ინფორმატორების ვრცელ ქსელს, თანამოქალაქეთა ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში შეღწევა რომ ევალებოდათ. ამიტომაც AVO-მ დაისაკუთრა უძრავი ქონების სხვა რჩეული ნიმუშები ანდრასის მოხდენილ გამზირზე და მის მახლობლად – ქუჩას იმ დროისთვის სტალინის სახელი ჰქონდა მინიჭებული. დღეს შენობაზე ევროკავშირის ლურჯ-ოქროსფერი დროშა ფრიალებს და იგი კვარტალს ორ გასაჯანსაღებელ ცენტრთან იყოფს.

დოქტორი კატალინ კუტრუცი – ტანდაბალი, ალელვებული, მოფუსფუსე ქალი, სინთეტური შარვლიანი კოსტიუმი და წინდაშემოსილ ფეხზე ხისძირიანი, თითებლია ქოშები რომ აცვია, ოთახში მიმიძღვება.

ოთახი ოვალურია, მაღალი ქერის კარნიზს რთული ორნამენტი მიუყვება – ზედგამოჭრილი ადგილია ინტიმური მუსიკალური საღამოს ჩასატარებლად. იგი ჩემ გვერდით ებერტყება სკამზე იმიტირებულ ხის მაგიდასთან და თვალების სწრაფი ხამხამით მეუბნება: „როგორც აღმოჩნდა, თქვენი საქალაქე ერთ-ერთი უდიდესია ჩვენს მასალებს შორის“. უნდა ვიამაყო? თავზარდაცემული ვარ და ერთი სული მაქვს, თავით გადავეშვა ამ მუყაოს საქალაქეებში. თეთრხალათიან კლერებს მაღაზიის ურიკებით შემოაქვთ ისინი ოთახში და მაგიდაზე ტვირთავენ, საქალაქეების მთაც სულ უფრო იზრდება. დოქტორი კუტრუცი არ იღიმება, მაგრამ ფაქტი, რომ იგი „კატიკას“ მინოდებს – ჩემი სახელის საალერსო ფორმა უნგრულად ასე ჟღერს – კიდევ უფრო მაფორიაქებს.

ის, როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ჩემი მშობლები კომუნისტებს, როგორი უტეხი სიმამაცით რჩებოდნენ რკინის ფარდის მიღმა უკანასკნელ დამოუკიდებელ ჟურნალისტებად მათ დაპატიმრებამდე, გასამართლებამდე და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) ჯაშუშობაში ბრალის დადებად – მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ჩვენი ოჯახის რაობის უმთავრესი ღერძი და საყრდენი იყო. 1955 წლის 25 თებერვალს, დილის ორ საათზე შეერთებული შტატების სამხედრო ატაშეს სახლში ბრიჯის თამაშის შემდეგ საიდუმლო პოლიციის ექვსმა აგენტმა მამაჩემი აიყვანა. მისი დაპატიმრების შესახებ „ნიუ-იორკ თაიმსი“ პირველ გვერდზე იუწყებოდა. ოთხი თვის შემდეგ მათ დედაჩემს მოაკითხეს. თითქმის ერთი წლის შემდეგ, იანვარში, „ნიუ-იორკ თაიმსი“ ისევ პირველი გვერდის სტატიამი იტყობინებოდა: „ენდრე მარტონს, „ასოშიეითიდ პრესის“ კორესპონდენტს, კომუნისტურ უნგრეთში მიესაჯა ექვსი წლით პატიმრობა ჯაშუშობის ბრალდებით. მის ცოლს, ილონას, რომელიც „იუნაითედ პრესის“ თანამშრომელი იყო, სამი წელი მიესაჯა. მარტონებს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ, კატი და ჯული“. სტატიას ახლდა სურათი, რომელზედაც გამოსახული იყო ლამაზი, ელეგანტური წყვილი და მათი ორი მომღიმარი პატარა გოგონა – ბედნიერი ოჯახი, მტკიცე და თითქოს ურღვევი. სურათი უნგრეთში ერთად გატარებულ უკანასკნელ შობაზე გადავიღეთ მანამ, სანამ ყველაფერი შეიცვლებოდა. ამგვარი იყო ჩემი დებიუტი პრესაში, თუმცა მე სტატია მხოლოდ ათწლეულების შემდეგ ვნახე.

ჩემი მშობლები მომავალზე ორიენტირებული ადამიანები იყვნენ. ისინი წარსულის სურათებს მხოლოდ შერჩევით თუ მიუბრუნდებოდნენ ხოლმე. როდესაც მამას, უკვე მისი სიცოცხლის ბოლოსკენ, თავ-

ვისუფალი და დემოკრატიული უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგან უნგრეთის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდო გადაეცა, თვითონ არ წავიდა ნიუ-იორკში ჯილდოს პირადად მისაღებად და მისი ალება მე მომანდო. იმ საღამოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაცა: გადმომცა უხეში ქაღალდის დიდი კონვერტი, რომელშიც AVO-ს მასალები იდო მამას შესახებ. მამაჩემს არასდროს გადაუშლია ის საქაღალდე; მან ყოველივე ეს უკვე ამოწურა. მისთვის ისტორია – ყოველ შემთხვევაში, მისი საკუთარი ისტორია მაინც – ტვირთი იყო. ჩემთვის კი ეს მასალები ჩემი ძიების სანყისად იქცა.

ნათქვამია, ბავშვობა უცხო ქვეყანააო. ეს კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა, თუ ბავშვს ადრეულად მოწყვეტენ იმ პატარა სამყაროს, სადაც მისთვის ყველაფერი ნაცნობია და გადაისვრიან ქვეყანაში, სადაც არავინ იცის, როგორ წარმოთქვას სწორად მისი სახელი. მას შემდეგ, რაც ჩემი მშობლები გარდაიცვალნენ (დედა – 2004-ში, მამა კი – მომდევნო წელს), შემიპყრო დაუძლეველმა სურვილმა, შემეტყო ყველაფერი, რაც კი შემეძლო და გამეგო, ზუსტად რა გადაგვხდა მე, ჩემს დას და ჩემს მშობლებს ქვეყანაში, სადაც ეს ყოველივე დაიწყო. ჩემი ცხოვრების არც ერთ პერიოდში არ ყოფილა ოჯახური სიყვარული ისეთი მძაფრი და ძლიერი, როგორიც ის ბუდაპეშტში გატარებულ წლებში იყო. მშობლებს, ჩემს დას და მე მტკიცე ერთობა გვქონდა ნაწილობრივ იმიტომაც, რომ გარესამყარო მტრული იყო. რაკი ამერიკაში თავი დაცულად ვიგრძენით, თითოეული ჩვენგანი საკუთარ ცხოვრებას შეუდგა და ჩვენი ოჯახური კავშირებიც თავისთავად შესუსტდა. ჩვენ წარმატებით შევძელით საზღვრის გადალახვა. უცნაურია, მაგრამ ჯერაც მენატრებოდა, ჩვენთვის, ყველასათვის, სახიფათო და ტკივილიანი დრო, რომელიც მტკიცედ გვაკავშირებდა ერთმანეთთან. მაკლდა ბუდაპეშტური ცხოვრების ურთიერთსიახლოვე.

ბავშვი, რომელიც ტერორზე დამყარებულ სახელმწიფოში იზრდება, ადრეულ ასაკშივე ხვდება, რომ თავად ის და მისი მშობლებიც კი არაფერს წარმოადგენენ სახელმწიფოს ძალის წინაშე. რაც არ უნდა განათლებული, გონებაძახილი და მომხიბლავები იყვნენ მშობლები – ჩემები კი არც ერთის ნაკლებობას არ უჩიოდნენ – ისინი სათამაშობად რჩებიან სახელმწიფოს ხელში. ასეთ ქვეყანაში ბავშვს არანაირი უფლებები არ გააჩნია – საკუთარ მშობლებზეც კი არ აქვს უფლება. და როდესაც ისინი წამართვეს – ბავშვისთვის ეს, მართლაც, ასე იყო, ისინი მე წამართვეს – განშორებამ არა მარტო მათ, მეც დამასვა სამუდამო დალი. მსურდა, გადამეშალა ის დოსიეები, რათა საბოლოოდ გავკვლავებოდი მაშინდელ ტრავმას.

დოსიეებიდან ამოტივტივებული საიდუმლოებების ფონზე საგონებელში მაგდებდა კიდევ ერთი რამ: რატომ მიდიოდნენ ჩემი მშობლები ამგვარ რისკზე? ცივი ომის პერიოდში უნგრელების უმრავლესობა ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა, ოღონდ კი შემთხვევით არავის დაენახა, როგორ მიესალმა შემხვედრ ამერიკელს. ჩემი მშობლების საუკეთესო მეგობრები კი ამერიკელი დიპლომატები და ჟურნალისტები იყვნენ. რასაც ყველა უფროსი ჩურჩულთ ლაპარაკობდა, იმას ჩემი მშობლები ხმამაღლა ამბობდნენ. მაშინ, როდესაც მთელ უნგრეთში სულ რაღაც ორი ათასამდე საკუთარი ავტომობილი არსებობდა, ჩვენი ოჯახი თეთრ კაბრიოლეტ სტუდენტებს დააქროლებდა! თითქმის იგივე ეფექტი იქნებოდა, რაკეტით რომ გვევლო.

ასე რომ, როდესაც წლების შემდეგ უნგრეთის მთავრობისგან მეც მივიღე იგივე ჯილდო, რაც მამაჩემმა, მე დავბრუნდი ბუდაპეშტში, საშინელებათა ამ დიდებულ სახლში და ყველა საჭირო ფორმა შევავსე. შემდეგ რამდენიმე თვე ველოდი ნიუ-იორკში, როდის დამიბარებდა არქივთა მმართველი კატალინ კუტრუცი.

კატალინი (უპვე შემომთავაზა, ასე ვუნოვო) დროდადრო თითხ ისვლებს და სწრაფად ფურცლავს ჩვენი საოჯახო დოსიეს ასობით გვერდს. მისთვის შინაარსი ცნობილია. გვერდი გვერდს მისდევს და თვალწინ მეშლება ჩემი ბავშვობისდროინდელი სახელები. სახელების უმეტესობა ბრჭყალებშია ჩასმული – ეს ინფორმატორთა კოდური დასახელებებია. კატალინი თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობს, მეუბნება: „ყველა, ვინც თქვენს წრეში ტრიალებდა, მიუხედავად იმისა, ენდობოდნენ მათ თქვენი მშობლები თუ არა, საიდუმლო პოლიციას ინფორმაციას აწვდიდა მათზე. მაშინ ასე იყო, რას იზამ“, – მხრებს იჩეჩავს იგი.

ვფურცლავ ანგარიშების სერიას, რომლის ავტორის კოდური სახელიც „გასპარია“. გაოგნებული ვარ ჩემი და ჩემი დის, ჯულიას, სახელის მოხსენიების სიხშირით. არ მინდა, ეს გვერდები გამეფანტოს სხვა ათასებს შორის, ამიტომ მათ ხელისგულს ვადებ. „შეიძლება?“ იგი წამით დუმს. „ეს ყველაფერი თქვენია. შეგიძლიათ, თან წაიღოთ და რაც გინდათ, ის უქნათ“, – ამით თითქოს მეუბნება: „ეს ახლა სხვა ქვეყანაა!“ მაგრამ მე მოცდა არ შემიძლია. ვინაა ეს დაუღალავი ინფორმატორი გასპარია და მუდამ ყურადღების ცენტრში რატომ ჰყავს ორი პატარა გოგონა? „იცი“, – მპასუხობს კატალინი და ტურებს მჭიდროდ კუმავს, – „მე უფლება არ მაქვს, ამგვარი ინფორმაცია მოგანოვლოთ, არ შემიძლია, აგენტების ნამდვილი სახელები გითხრათ. მაგრამ ამას გეტყვით: კოდს, როგორც წესი, ნამდვილ სახელთან რაღაც კავშირი აქვს“. გას-

პარი. რასაკვირველია, გაბრიელა. ჩვენი ფრანგი ძიძა! თუ საქმეში ჩადებული მისი წვლილით ვიმსჯელებთ, ფრიად მონადინებული აგენტი ყოფილა. ბრაზთან ერთად რალაც შინაგან კმაყოფილებასაც ვგრძნობ: მე არასდროს მიყვარდა იგი და ეს გრძნობა ორმხრივი იყო. ჯერაც ჩამესმის მისი მაღალი ქუსლების მოახლოებული კაკუნი, ყოველ დილით რომ გადასწვებოდა ხოლმე ჟალუზს ზუსტად ჩემ თავზემით, მაქსიმალური ჟღარუნით გადასწევდა მას და მკვეთრი, მაღალი ხმით იძახდა: „Levez-vous, mes enfants!” რა გასაკვირია, რომ მუდამ ჩქარობდა. უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც გააჩნდა თურმე.

სხვა საქალაქიდან ვარდება ჩემი და ჩემი დის ნახატები: სახლი აბოლებული საკვამურით, წინა პლანზე ადამიანების ზომის ჩიტები დასეირნობენ; ლოკოკინების გრძელი რიგი გორაკზე მიცოცავს, ნახატს წარწერა ამშვენებს: „Mamikanak“, ანუ „დედიკოს“. აი, ჯოხებით დახატული კაცუნა, მასზე გაკეთებულ წარწერაში ბებუის ხელს ვცნობ: „ეს კატიმ დახატა, იგი კი ჯერ სკოლაშიც არ დადის!“ და, რაც კიდევ უფრო მზარავს, აქ არის ჩემი მშობლების ფოტოები, ტელეობიექტივის დახმარებით ქუჩაში ფარულად გადაღებული. გაოგნებული ვარ, რომ მამა, თუმც მან არ იცის მოთვალთვალე კამერის შესახებ, მაინც წელში გამართულია, სახე მშვიდი აქვს, გამომეტყველება – გამოუცნობი. კაცი, რომელიც ბენზე გადაურჩა ნაციზმს, კვლავ დამარცხებულთა მხარეს აღმოჩნდა და გარესამყაროსგან თავდასაცავად ჯავშანი მოირგო. მაგრამ ვერც ერთი ჯავშანი ვერ დაიცავდა მას სახელმწიფოსგან, რომელიც მისი შვილების ნახატებს აგროვებდა.

მაგრამ ჩემი მეგზური წინ მიინევს. ახალ საქალაქდეს კუთხეში მსხვილი „B“ აზის. ახლა ვიცი, რომ ამ ასოთი აღინიშნება „Beszervezes“ ანუ „აგენტების გადაბირება“ საიდუმლო პოლიციისათვის. ამ საქალაქდეს კოდური სახელი „იზორხე“ აწერია. „ეს, შემძლია გითხრათ, მამათქვენის კოდური სახელი იყო“. პირი გამიშრა, ვერაფერს ვამბობ. როგორ ბედავს, ამგვარი რამ ივარაუდოს! მამ, ამან გამოიწვია თანაგრძნობა, რომელიც ჩვენი პირველი შეხვედრისას არ გამოუჩენია?! ამიტომაც გამაფრთხილა, მარტო მივსულიყავი. მამაჩემის აგენტობისდროინდელ საქალაქდეში ბოლო ანგარიში 1967 წლით არის დათარიღებული. შეუძლებელია – 1967 წლისათვის ჩვენ ამერიკაში ვცხოვრობდით და სამშვიდობოს ვიყავით. ანუ მე მუდამ ასე მეგონა.

მაგრამ არ მინდა, შევედაო მას, ვუთხრა, რომ ეს სისულელეა – ეს ორი ადამიანი ხომ ყოვლისშემძლე AVO-ს მის საკუთარ ტერიტორიაზეც კი ეწინააღმდეგებოდა? რანაირად შეეძლოთ დაეშვათ, რომ ჩემი

მშობლები „Beszervezes“ მასალად გამოდგებოდნენ მაშინ, როცა ისინი შვედურულ შტატებში იყვნენ და თავს დაცულად გრძნობდნენ?

კატალინი ბოლო საქალაქდესაც ხურავს და ჩემკენ ტრიალდება. „ეს ყველაფერი თქვენია“, – ამბობს იგი და მის ხმაში გაისმის ექიმის გამომუშავებული თანაგრძნობა, როცა ის ცუდ ამბავს იუწყება. „მაგრამ ნუ განსჯით მათ“, – მაფრთხილებს იგი, – „განსაჯეთ სისტემა“. იგი ხელში იღებს საქალაქიდან გადმოვარდნილ ფოტოს. სამი-ოთხი წლის ხუჭუჭა ბავშვს პეპლებით და ალუბლებით მოხატული წინსაფარი უკეთია და ხელში კოვზი უჭირავს. პუტკუნა, სერიოზულ, უღიმილო ბავშვში მე საკუთარი პატარაობა ამოვიცანი და ისტორიკოსის გაფრთხილება გამახსენდა: „პანდორას ყუთს ხსნით“.

თავი პირველი

მეი ცივ მეთან



ჩემი მშობლები, ილონა და ენდრე მარტონები, ვერსალის წინ. გადაღებულია საზღვარგარეთ მათი ბოლო მოგზაურობისას, სანამ 1948 წელს კომუნისტები შეწყვეტდნენ ვიზების გაცემას

გავშვებს არ შეუძლიათ, თავიანთ მშობლებს სრულყოფილად იცნობდნენ. დედ-მამა ბავშვის თვალთახედვით უზარმაზარი და ყოვლისმომცველია. მოგვიანებით, ჭაბუკობასა და ადრეული მოზრდილობის ასაკში, მათთან ზედმეტი სიახლოვე უკვე გამაღიზიანებელი ხდება, თანდათანობით კი ჩვენი მშობლები ჩვეულებრივ მოკვდავებად გადაიქცევიან. მაგრამ AVO-ს საქალაქდებმა ეს ჩვეულებრივი განვითა-